ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №35

2015 წლის 24 აპრილი
ქ. ბათუმი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - „არაფორმალური განათლების ცენტრის“ დებულების განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა გიორგაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - „არაფორმალური განათლების ცენტრის“ დებულება (**დანართი 1**).

2. **დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.**

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „არაფორმალური განათლების ცენტრის"

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა: არაფორმალური განათლება მოიცავს ინდივიდუალური და სოციალური განათლებისნების მიერ დაგეგმილ პროგრამას, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას.

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის" (შემდგომში ბსუ-ს) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - არაფორმალური განათლების ცენტრის" (შემდგომში „ცენტრი") უფლებამოსილებას, ფუნქციებს, მიზნებს, ამოცანებსა და მართვის პრინციპებს.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზანია:

ა) პროფესიონალიზმისადასამოქალაქოცნობიერებისამაღლება.

ბ) კულტურული და შემეცნებითი, სამოქალაქო აქტივობის პროგრამების განხორციელება;

გ) ცენტრის პროგრამებთან დაკავშირებული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის განხორციელება;

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობა

1. ცენტრი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2. ცენტრისმოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები განკუთვნილიასხვადასხვაინტერეს-ჯგუფისათვის, – სწავლების ნებისმიერი საფეხურის სტუდენტების, პრაქტიკოსი პროფესიონალებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

3. ამ პროგრამების განხორციელების მიზნით ცენტრი უზრუნველყოფს:

ა) სწავლების სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე ტრეინინგების ჩატარებას, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიური და სხვა სახის მასალების მომზადებასა და გამოცემას;

ბ) ცენტრის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას, ბუკლეტების გამოცემას, კონსულტაციების ჩატარებასა და სხვა სარეკლამო საქმიანობა;

4. ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი ფასიანი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები (კურსები):

ა) რიტორიკის კურსი;

ბ) ზოგადი უნარების კურსი სხვადასხვა საჯარო სტრუქტურებში ატესტაციებისათვის;

გ) სამოქალაქო განათლების კურსი;

დ) უცხო ენის სასერტიფიკატო გამოცდებისათვის (Cambridgeexam – FCE; TOEFL; DiplômedeLangueFrançaise (DALF); Diplôme d' EtudesenLangueFrançaise – DELF და სხვ.) მოსამზადებელი კურსები;

ე) აღმოსავლური გამაჯანსაღებელი სისტემის - იოგას-კლუბი;

5. ცენტრიუფლებამოსილია, ფასიანი მოკლევადიანისაგანმანათლებლოპროგრამის მსმენელებზე, ამ პროგრამის დასრულების საფუძველზე, გასცეს შესაბამისი სერთიფიკატები. სერტიფიკატი გაიცემა ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით რექტორის ბრძანების საფუძველზე;

6. ცენტრის ბაზაზე, ანაზღაურების გარეშე, შესაძლებელია ხორციელდებოდეს (ფუნქციონირებდეს) სხვადასხვა აქტივობები და პროექტები:

ა)ლიტერატურის კლუბი;
ბ) კინოკლუბი;
გ) პროექტი: ,,უნივერსიტეტი – სკოლას“ (სოციალურად დაუცველ აბიტურიენტთა უფასოდ მეცადინეობა; იმიტირებული გამოცდების ორგანიზება);
დ) პროექტი: ღია ბიბლიოთეკა;
ე) მინი აკადემია: საჯარო ლექციების ორგანიზება;
ვ) დებატების კლუბი;
ზ) საზაფხულო სკოლების ორგანიზება;
თ) სტუდენტთა სამეცნიერო-პოპულარული ელექტრონული ჟურნალის გამოცემის ორგანიზება;

მუხლი 4. ცენტრის პერსონალი, მართვის ორგანო და სტრუქტურა

1. ცენტრის მმართველი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია რექტორის, აკადემიური საბჭოსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე;

2. საბჭოს შემადგენლობა (თავმჯდომარე და წევრები) მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე. ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო/მოსამზადებელი პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელები (კოორდინატორები) ამავდროულად არიან საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

3. საბჭოს სხდომა მოიწვევა არანაკლებ 3 თვეში ერთხელ;

4. ცენტრის ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის საბჭოს თავმჯდომარე;

5. ცენტრის ხელმძღვანელს, დეკანის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

6. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) უზრუნველყოფს ცენტრში სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას;
ბ) უზრუნველყოფს აღრიცხვისა და შეფასების ჟურნალების დადგენილი წესით წარმოებასა და შენახვას;
გ) ზრუნავს ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო ბაზის გაუმჯობესებაზე;
დ) სასწავლო და სამეცნიერო გრანტების მოსაპოვებლად მოიძიებს სათანადო ფონდებს და ხელმძღვანელობს გრანტის მისაღებად საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას;
ე) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს ვებგვერდზე განსათავსებელ ინფორმაციას;
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის დეკანის, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებების შესრულებაზე;
ზ) პასუხისმგებელია ცენტრისთვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
თ) ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

7. ცენტრს ჰყავს სპეციალისტი, რომელიც ანაზღაურების გარეშე ასრულებს ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

8. ცენტრის სპეციალისტი ინიშნება ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებითა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანხმობით;

9. ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს ფაკულტეტის დეკანის, უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

10. ცენტრის მუშაობის ანგარიშს 6 თვეში ერთხელ ისმენს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო წელიწადში ერთხელ აკადემიური საბჭო.

11. ცენტრი უზრუნველყოფს:

ა. ცენტრის მართვის ორგანოს ანგარიშების საჯაროობას;
ბ. თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

მუხლი 5. ცენტრის ფასიან მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (კურსებზე) მსმენელთა ჩარიცხვა, ჯგუფების სასწავლო პროცესის ორგანიზება და მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. ცენტრში მსმენელის ჩარიცხვა ხდება ხელშეკრულებისა და ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე;

2. ცენტრში ცალკეული მიმართულებების ჯგუფების ჩამოყალიბება ხორციელდება ცენტრის ანგარიშზე წინასწარ ჩარიცხული მსმენელის სწავლის საფასურის საფუძველზე. ჯგუფში ჩარიცხვა, ჯგუფიდან ამორიცხვა, ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანა ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით ცენტრის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;

3. ცენტრი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;

4. ცენტრი უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებს წარუდგენს შესაბამისი პროგრამის ხარჯთაღრიცხვას, აყალიბებს სასწავლო ჯგუფებს ან აწარმოებს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს; განსაზღვრავს სასწავლო პროცესის, საკონტროლო ტესტირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში - გამოცდებისათვის) აუცილებელი საათების რაოდენობას; საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტებიდან (აუცილებლობის შემთხვევაში - სხვა დაწესებულებებიდან) იწვევს სპეციალისტებს კონკრეტულ ჯგუფებში სამუშაოდ; ადგენს საკონტროლო ტესტირების განრიგს, ახორციელებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზებისათვის საჭირო სხვა საქმიანობას;

5. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მსმენელის განცხადება;

ბ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევა;

გ) ბსუ-ს შინაგანაწესით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევა.

მუხლი 6. ცენტრის დაფინანსება და ბიუჯეტი

1. ცენტრი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია.

2. ცენტრისდაფინანსებისწყარო შეიძლება იყოს:

ა) სწავლის საფასური, რომლებსაც იხდიან მსმენელები ფასიანი კურსის ფარგლებში;

ბ) კერძო გრანტის ან შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

2. ფასიანი პროგრამებისა და სასწავლო აკადემიური საათების საფასური დგინდება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. ცენტრის ხარჯთაღრიცხვას ბსუ-ს საფინასო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის ხელმძღვანელი და ამტკიცებს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.